უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№6 (73) 2017

ინფორმატიკის პროგრამის სტუდენტების წარმატება საერთაშორისო კონკურსში BATTLE DEV

ინფორმატიკის ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა მეორედ მიიღეს მონაწილეობა დაპროგრამების საერთაშორისო კონკურსში Battle Dev და შარშანდელი შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესეს: 34-ე ადგილის ნაცვლად მე-4 ადგილი საერთო რეიტინგში.

Battle Dev დაპროგრამების ონლაინ კონკურსია, რომელიც წელს მეცხრედ ჩატარდა და მასში საფრანგეთის ისეთი დიდი საინჟინრო სკოლები იღებდნენ მონაწილეობას, როგორებიცაა Insa Lyon, insa Rennes და 3w académie Strasbourg.

კონკურსს წელს RegionsJob-მა გაუწია ორგანიზება და მასში 2000-ზე მეტი სტუდენტი იყო ჩართული.

კონკურსის შესახებ გვესაუბრება თსუ ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფრანგულენოვანი საბაკალავ-

გაგრძელება მე-3 გვ.

UNIკადრი 2017

სტუდენტური ფოტოკონკურსი UNI კადრი ერთ-ერთ კარგი საშუალებაა ახალგაზრდებისთვის საკუთარი ნიჭის გამოსავლენად და შესაძლებლობების მოსასინჯად. თსუ სტუდენტებს თითქმის ყოველ წელს აქვთ საშუალებას ჩაებან კონკურსში და საკუთარი თვალით დანახული სასწავლებელი ფოტოობიექტივში ასახონ.

მაისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ფოტოკონკურსის „UNIკადრი 2017“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ჟიურიმ, რომლის შემადგელობაშიც ფოტოგრაფები გურამ წიბახაშვილი, მინდია მიდელაშვილი და ნინო ქუთათელაძე იყვნენ, სამი საუკეთესო ფოტოს ავტორები შეარჩიეს. მთავარი პრიზი პლანშეტური კომპიუტერი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს ნუცა ნიკოლაიშვილს გადაეცა. კონკურსის მეორე გამარჯვებული ასევე იურიდიული ფაკლულტეტის სტუდენტი ირაკლი ბუთურიშვილი გახდა, რომელიც უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის

გაგრძელება მე-4 გვ.

პროექტი კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლების მოსწავლეებისთვის

ბოლო ორი თვის განმავლობაში კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე ოთხი სოფლიდან: ნიქოზიდან, ტირძნისიდან, დიციდან და ხვითიდან ყოველ შაბათს 30 სკოლის მოსწავლე ესწრებოდა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ ლექციებს. ბავშვები კონფლიქტის ზონიდან ინტერესით ეცნობოდნენ სპეციალურად მათთვის შემუშავებულ კურსს. ყველა ლექციას მოყვებოდა თეორიულ მასალას მიბმული პრაქტიკული მუშაობა, რომელიც შესაძლოა სამომავლოდ მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ყველაფერი ეს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ კოორდინატორის მარი

გაგრძელება მე-2 გვ.

ღია კარის დღე უნივერსიტეტში

6 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია კარის დღე გაიმართა. ღონისძიება თსუ საბავშვო უნივერსიტეტის დიდი ძალისხმევით ჩატარდა და მასში მონაწილეობა 500-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ყველას შეეძლო მაქსიმალური ინფორმაცია მიეღო იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს თსუ, რა შესაძლებლობები არსებობს აქ სწავლისა და კვლევის თვალსაზრისით, რა პერსპექტივა აქვთ მის კურსდამთავრებულებს დასაქმების კუთხით და ა.შ. გარდა ამისა, იმის შესახებაც, რომ სტუდენტური ცხოვრება მხოლოდ სწავლებით არ შემოიფარგლება და ძალზე ბევრ სხვადასხვა სახის აქტივობას გულისხმობს, როგორც სპორტული, ისე სოციალური და კულტურული კუთხით.

ამ სკითხებზე სააქტო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ ისაუბრეს.

ღია კარის დღეზე დაფიქსირებული მაღალი ინტერესი გასაკვირი არ არის. პირველ ქართულ უნივერსიტეტს ბევრი აბიტურიენტი აკითხავს.... ძალიან იმედიანად ვარ იმასთან დაკავშირებით, რომ წელს თსუ-ში ძალზე ბევრი კარგი აბიტურიენტი მოვა და მათი ცხოვრების ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყება უნივერსიტეტში და დაკავშირებული იქნება უნივერსიტეტთან“,- განაცხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აბიტურიენტებთან შეხვედრის შემდეგ.

გაფართოებული შეხვედრის შემდეგ ყველა აბიტურიენტს მისთვის საინტერესო სპეციალობის შესახებ დეტალების დაზუსტება უკვე შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე შეეძლოთ. ცნობისათვის, ღია კარის დღეზე აბიტურიენტთა ნაწილს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ გარკვეული ინფორმაცია საბავშვო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების წყალობით უკვე ჰქონდა.

6 მაისს თსუ შვიდივე ფაკულტეტმა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (სან დიეგოს უნივერსიტეტის მონაწილეობით), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა, მედიცინის, იურიდიულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე და ISET-მა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა) დღის სხვადასხვა მონაკვეთში გამართეს შეხვედრები. ამავე დღეს აბიტურიენტებს ასევე საშუალება ჰქონდათ თსუ ბიბლიოთეკა და მუზეუმი დაეთვალიერებინათ.

სტუდენტური პროექტების დაფინანსება დაიწყო

2017 წლიდან უნივერსიტეტში 600 000 ლარი სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად დაიხარჯება. დაფინანსების ახალი წესი უკვე ამოქმედდა და მან საშუალება მისცა ახალგაზრდებს საკონკურსო საბჭოსთვის პირველი საგნმანათლებლო-კულტურული თუ სამეცნიერო პროექტები წარედგინა.

სტუდენტური პროექტების დასაფინანსებელი კონკურსის პირველი ეტაპზე სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელმა საბჭომ სულ შემოსული 63 საპროექტო წინადადება განიხილა. მათ შორის, 18 სამეცნიერო პროექტი იყო,

გვ. 2

ესპანელი პროფესორების ლექციები თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 200-მდე პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს. თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმატითა და სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ხორციელდება. ერთ-ერთი მათგანია „ერაზმუს მუნდუსი +“, რომელიც უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამაა.

გვ. 2

შეხვედრა გურამ დოჩანაშვილთან



თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის ორგანიზებით მწერალ გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, უნივერსიტეტის სტუდენტები, საბავშვო უნივერსიტეტის მოსწავლეები, საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ რექტორმა ქართველი ერის წინაშე გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ დოჩანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

ესპანელი პროფესორების ლექციები თსუ-ში

პირველი გვერდიდან

ამ პროექტის ფარგლებში თსუ იურიდიულმა ფაკულტეტმა გაზაფხულის სემესტრში თავის სტუდენტებს ინგლისურენოვანი ინტენსიური სალექციო კურსი "რელიგიის თავისუფლება და ადამიანის უფლებები" შესთავაზა. კურსი კორუნიას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროფერსორების მიერ განხორციელდა: ლექციები სტუდენტებისთვის კორუნას იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, კერძო სამართლის პროფესორმა კარმენ გარსიმარტინმ, კერძო სამართლის პროფესორმა ანტონიო ლეგერენიმ, კონსტიტუციური სამართლის პროფესორმა სანტიაგო როურამ და კერძო სამართლის კათედრის ხელმძღვანელმა ხუან ფერეირომ წაიკითხეს.

კურსი „რელიგიის თავისუფლება და ადამიანის უფლებები“ მსმენელისათვის კარგი საშუალებაა ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი ინსტრუმენტების და ევროპაში რელიგიის თავისუფლების რეგულაციების გასაცნობად და შედარებითი სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, ევროპულ და ესპანურ სამართლებრივი ინსტიტუტების შესწავლის და ანალიზისთვის. გარდა ამისა, კურსი მსმენელს ინგლისურ ენაზე საკუთარი აზრის (როგორც ზეპირად, ასევე წერილობით) ჩამოყალიბებასა და ინგლისურ ენაზე დისკუსიის წარმოების პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება.

ანტონიო ლეგერენის მიერ თსუ-ში ჩატარებული სალექციო კურსის თემატიკა გახლდათ – ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპის კავშირში; მიმდინარე დებატები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ესპანეთში;

სანტიაგო როურა სტუდენტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემებს აცნობდა (ესპანური და ევროპული მრავალდონიანი სისტემები); ასევე განიხილავდა სურაგაციის საკითხებზე შეთანხმებას, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს საკითხებს.

სანტიაგო როურა გვიყვება, რომ „ერაზმუს მუნდუს +“- ის პროგრამა პროფესორებს ლექციების ჩატარების საშუალებას სხვადასხვა ქვეყანაში აძლევს. ასე რომ, როდესაც კორუნას უნივერსიტეტში გამოქვეყნდა აპლიკაცია, რომ შეგვეძლო ლექციები საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაგვეტარებინა. გადავწყვიტე შესაძლებლობით მესარგებლა. საქართველოში მანამდე არ ვყოფილვარ. აქ ჩამოსვლა ჩემი საკუთარი გადაწყვეტილება იყო. ვიცოდი, რომ ეს საინტერესო იქნებოდა. ქართველი სტუდენტები ლექციებით საკმაოდ დაინტერესებული აღმოჩდნენ, თუმცა, ეს ალბათ გასაკვირი არაა, როდესაც ლექციებს შენთვის საინტერესო სკითხებზე, თანაც უცხოელი ლექტორები კითხულობენ. ვფიქრობ, მსგავსი პროგრამა კარგი გამოცდილებაა როგორც სტუდენტებისთვის, ისე თავად უცხოელი ლექტორებისთვის“ - ამბობს იგი. ესპანელი პროფესორი ამბობს, რომ თსუ-სთან თანამშრომლობას მომავალშც სიამოვნებით გააგრძელებს, თუ ამის საშუალება იქნა. მით უმეტეს, რომ ამ დროსითვის თსუ-სა და მის უნივერსიტეტს (კორუნას) იურიდიულ ფაკულტეტებს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა არსებობს.

ანტონიო ლეგერენიმ, უკვე რამდენიმე წელია რაც „ერაზმუს მუნდუსის“ პროგრამის შესახებ იცის და მის ფარგლებში საზღვარგარეთ ლექციები ბევრჯერ წაუკითხავს, თუმცა, საქართველოში მანამდე არც ის ყოფილა. „ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კორუნას უნივერსიტეტს შორის შეთანხმების ფარგლებში ვარ აქ და ამ ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ჩვენს უნივერსიტეტებს შორის შემდგომი თანამშრობლისათვის ხელშეწყობაა“, – ამბობს იგი. ანტონიოსთვის საინტერესო აღმოჩნდა ისიც, რომ თსუ სტუდენტები საკმაოდ აქტიური ცხოვრებით ცხოვრობენ.

საბოლოოდ, ორივე ესპანელ პროფესორს იმის იმედიც აქვს, რომ მათი პირველი ვიზიტი საქართველოში ერთადერთი არ იქნება

პროექტი კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლების მოსწავლეებისთვის

პირველი გვერდიდან

უკლებას ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

„საბავშვო უნივერსიტეტის „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“, ერთ-ერთი გასვლითი შეხვედრა იყო ნიქოზის სკოლის მოსწავლეებთან სადაც ბავშვებისთვის გვინდოდა გაგვეცნო საუნივერსიტეტო ცხოვრების პირობები, წესი, რას აკეთებს და როგორ მუშაობს მოსწავლეებთან კონტექსტში საბავშვო უნივერსიტეტი. თვითონ იქაურმა სიტუაციამ, ბლოკპოსტებმა ძალიან იმოქმედა ჩემზე, ომის შემდეგ პირველად ვიყავი იქ. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სულ ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა ამ ბავშვების საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩასართავად, ასე ვთქვათ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის. ძირითადად, ამ კუთხით მოსაგვარებელი ტრანსპორტირების პრობლემა გახლდათ, რის შემდგომ ამ ბავშვებისთვის საბავშვო უნივერსიტეტის აქტივობაში ჩართვა ძალიან აღვილი იქნებოდა. გორის გამგეობის წარმომადგენლები შესაძლებელობის ფარგლებში დახმარებას დამპირდნენ და ვიფიქრე, რაღაც თანხები თავადაც მომეძიებინა. ამ პერიოდში საიტზე ERTAD.GE, VIVUS.GE-ის პატრონტაჟით გამოცხადდა კონკურსი პროექტებზე. ჯილდოდ გათვალისწინებული თანხა ჩემი გათვლებით, ამ ბავშვების ტრანსპორტირებას ნაწილობრივ დაფარავდა. დავწერე პროექტი რომელიც მერე დაიდო საიტზე. ერთი თვის განმავლობაში მინიმუმ 2000-2500 ხმა იყო მოსაძიებელი და თვეში ერთ ადამიანს ერთხელ შეეძლო ხმის მოცემა. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ბევრი ვიმუშავე. კონკურსში მონაწილეობისას ჩვენი სტუდენტები, მთელი მაღლივი კორპუსი დამიდგა გვერდში. სხვათა შორის, ეს გრანტი რომ მოვიპოვე, ჩემი „სკოლის“ ყოფილი მოსწავლის, ამჟამად ჩვენი სტუდენტის გიგა ჩიგიშვილის დამსახურებაცაა, რომელმაც ხელები არ ჩამომაყრევინა. საბოლოო ჯამში გავიმარჯვე და 2300 ლარი მივიღე“, – აცხადებს მარი უკლება.

პროექტში გაწერილი იყო ასევე, რომ თანხის ნაწილი ბავშვების ტრანსპორტირების პარალელურად ასევე კვებისთვის, წიგნებისთვის უნდა გახარჯულიყო. თანხის მოპოვების შემდგომ „ნორჩ ეკონომისტთა“ კოორდინატორი ისევ გორის მუნიციპალიტეტში დაბრუნდა. მისი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები: გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს და სხვები, ძალზე დაინტერესებული იყვნენ ბავშვების ხელშეწყობით. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, რომ ბავშვების თსუ „საბავშვო უნივერსიტეტის“ ლექციებზე ჩამოყვანას უკლებასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებაც ითავებდა. საბოლოოდ ამ დროისთვის ბავშვების უკვე ოხუთმეტჯერ ჩამოყვანა მოხერხდა და კიდევ რამედნიმეჯერ შეძლებენ ჩამოსვლას. თანადგომისა და დახმარებისათვის მარი უკლება მადლობას უხდის გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს დავით ონიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს კონსტანტინე თავზარაშვილს, საკრებულოს წევრებს მერაბ მელანაშვილს, დიმიტრი გოგიაშვილს და ზურაბ ყაჯრიშვილს.

მარი უკლებას თქმით, მთელი ამ პროექტის განმავლობაში იგრძნობოდა მისი ფაკულტეტის წარმომადგენელთა მხრიდან მხარდაჭერის და მონაწილეობის სურვილი. ფაქტობრივად, ამ ბავშვებმა „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ მთლიანი კურსი გაიარეს, რადგან ქალაქების სკოლის მოსწავლეებისგან განსხვავებით ამ ბავშვებს არ აქვთ არანაირი წამახალისებელი სიტუაციები. სურდა ეს ვიზიტები ყოფილიყო სასიამოვნო, ერთგვარი ნათელი წერტილი მათ ცხოვრებაში. გარდა ამისა, შეეძინათ ცოდნა თავის საზღვრისპირა სოფლებში დარჩენისა და პატარ-პატარა ბიზნესების დაწყების შესაძლებად, პროექტების შესაქმნელად, კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. „ნორჩ ეკონომისტთა“ სკოლაში სპეციალურად შემუშავებული კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორიცა: მეწარმეობის რაობა, სოციალური მეწარმეობა, საკუთარი ბიზნესის დაწყების საფუძვლები, ბანკებთან, საგადასახადო სისტემასთან, საბაჟო სისტემასთან კონტაქტის საკითხები და პრობლემები. მოკლედ, იმ საკითხები რაც აუცილებელია საკუთარი პატარა ბიზნესის დასაწყებად საბაზისო ცოდნის მისაღებად. თუმცა, კურსით გათვალისწინებული ეს საკითხები სხვა „ნორჩი ეკონომისტებისთვისაც“ ახალი და საინტერსო აღმოჩნდა. კონფლიქტის ზონის პირა ოთხი სოფლის სკოლის მოსწავლეებთან ერთად შაბათის ლექციებს სადღაც 50-55 ბავშვი ესწრებოდა.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც კონფლიქტის ზონის „საზღვრისპირა“ სკოლების მოსწავლეებს დანარჩენ „ნორჩ ეკონომისტებთან“ ერთად განწყობას შეუქმნის, მათ ქვემო ხევსურეთში ექსკურსიას გულისხმობს. ამაში მარი უკლებას უკვე სოციალური საწარმოს ერთ-ერთი ორგანიზაცია დაეხმარება, რომელიც ხევსურეთში მდებარეობს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურა შარჟებით

თსუ-ში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურა შარჟებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში“ გაიხსნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მეგობრული შარჟები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) პერიოდში კულტურის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ პიროვნებების შესახებ, რომლებიც მათი თანამედროვე მხატვრების მიერაა შესრულებული. ასევე გამოიფინა ჩანახატების ფოტოასლები. მასალები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებიდანაა მოძიებული.

სტუდენტური პროექტების დაფინანსება დაიწყო

პირველი გვერდიდან

ხოლო 45 – საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტული პროექტი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტებიდან დაფინანსდა 15 პროექტი, ხოლო საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროექტებიდან-34.

იმ პროექტთა ავტორებს, რომელთაც ვერ მიიღეს დაფინანსება, მიეცათ რეკომენდაციები და შესაძლებლობა, რომ პროექტები წარმოადგინონ შემდგომ ეტაპზე.

სამეცნიერო პროექტების მიღება უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ხოლო საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტული პროექტების მიღების მეორე ეტაპი 30 აპრილამდე იყო და შემდეგი ეტაპი კი 30 სექტემბრამდე გაიმართება;

შეგახსენებთ, რომ 2017 წლიდან რექტორის, გიორგი შარვაშიძის ინიციატივით, სტუდენტური პროექტების დაფინანსების გამჭვირვალობისა და პარიტეტის დასაცავად შეიქმნა სპეციალური საბჭო, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების, თსუ-ს და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები შევიდნენ.

ინფორმატიკის პროგრამის სტუდენტების წარმატება საერთაშორისო კონკურსში BATTLE DEV

პირველი გვერდიდან

რო პროგრამის კომპიუტერული მეცნიერება კოორდინატორი არჩილ ელიზბარაშვილი:

„ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამა თსუ-ში 2009 წლიდან ფუნქციონირებს, რეალურად იგი 2002 წელს დაფუძნდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რამდენიმე წლის შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გადმოვედით.

პროგრამა თსუ-ში სწავლასთან ერთად მოიცავს საფრანგეთში სწავლასაც, რის შემდეგაც ჩვენს სტუდენტებს აქვთ, როგორც თსუ-ს დიპლომი, ისე საფრანგეთის ეროვნული დიპლომი ინფორმატიკაში. ჩვენი წარმატებული სტუდენტები ერთი სემესტრის განმავლობაში მიდიან საფრანგეთში, ახლაც სამი მათგანია წასული.

რაც შეეხება კონკურსს, რომელშიც ჩვენმა სტუდენტებმა წარმატებას მიაღწიეს, იგი ორგანიზებულია იმ მიზნით რომ მოიწვიოს, მიიზიდოს და დაასაქმოს ნიჭიერი ახალგაზრდები. თსუ-მ ამ კონკურსში ორჯერ მიიღო მონაწილეობა. პირველად შემთხვევით მოვხვდით. ერთ-ერთი ვიზიტის დროს რენის გამოყენებით ტექნიკურ უნივერსიტეტში, სტუდენტების მიღების პერიპეტიების განხილვის დროს, ამ კონკურსში უფასოდ მონაწილეობა შემოგვთავაზეს. 2016 წლის ნოემბერში ჩატარდა იგი პირველად და მაშინ 70 სტუდენტს შორის 34-ე ადგილი დავიკავეთ. ამჯერად, თსუ-ს შედეგი მე-4 ადგილია, ამ წარმატებაში მონაწილეობა ჩვენმა 12-მა სტუდენტმა მიიღო, ჩვენს ჯგუფში ერთ-ერთი პირველი ლუკა რეხვიაშვილი იყო, რომელიც საფრანგეთში სწავლობს და პარიზიდან მონაწილეობდა.

კონკურსი არის ონლაინ ფორმატის, სტუდენტებს პირველ ეტაპზე სთავაზობენ პროგრამირების ენის არჩევას, რის შემდეგაც მონაწილეები რეგისტრირდებიან და კონკრეტულ დღესა და კონკრეტულ საათზე იხსნება ამოცანათა კრებული. მოცემულია 6 ალგორითმი, ამოცანა. ისინი თანმიმდევრობით არის დალაგებული, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ერთულა სტუდენტს, მას არ აქვს მისი გამოტოვების უფლება. თუ პირველს ამოხსნიან, ეძლევათ შანსი რომ სხვა დანარჩენებიც თანმიმდევრულად გაიარონ. ეს ყველაფერი დროზეა დამოკიდებული, როგორც წესი 2 საათია მოცემული, თუ ყველა ალგორითმი ამოიხსნა ძალიან კარგია, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ პირველ ადგილს იკავებ. სხვა სკოლის წარმომადგენელმა შეიძლება უფრო დროულად ამოხსნას ისინი და უკეთესი ადგილიც ექნებათ რეიტინგში. ამდენად, კონკურსში მონაწილეობის ინტერესი და მოტივაცია დიდია, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ პროფესიონალიზმი, თავი გააცნონ ფართო საზოგადოებას კარგ სპეციალისტებად და რა თქმა უნდა, მოიგონ პრიზები, რომლებიც ახალისებს არამხოლოდ სტუდენტს, არამედ ყველა ჩვენთაგანს.

თსუ სტუდენტებისთვის რიგით მე-9 კონკურსი წარმატებული გამოდგა. პირველი ორი ადგილი დაიკავა ინსალიონისა და ინსარენის საინჟინრო სკოლებმა, მესამე ადგილი სტრასბურგის სკოლამ. მინდა ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზეც, რომ უნივერსიტეტები ამ კონკურსში ნაკლებად არიან ხოლმე წარმოდგენილი, ძირითადად საინჟინრო სკოლებს ვხვდებით. ისინი არაოფიციალურად უნივერსიტეტებზე ძლიერ ტექნიკურ სკოლებად ითვლება, ამ სკოლებში დიპლომი 5 წლიანი სწავლების შემდეგ გადაეცემათ სტუდენტებს და მეტად პრესტიჟულია. ამდენად, ასეთი კონკურენციის პირობებში ის წარმატება, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიაღწიეს, ნამდვილად დასაფასებელია“, – ამბობს იგი.

მრგვალი მაგიდა „ქართულ-სომხური თანამშრომლობის წარმატებული სტრატეგიების ძიებაში: აკადემია და სტუდენტთა თვალსაზრისი“

20 მაისს თსუ-ში, პროექტის „ქართულ-სომხური თანამშრომლობა აკადემიისა და სტუდენტთა ჩართულობით 2“-ის ფარგლებში გაიმართა სტუდენტური მრგვალი მაგიდა „ქართულ-სომხური თანამშრომლობის წარმატებული სტრატეგიების ძიებაში: აკადემია და სტუდენტთა თვალსაზრისი“. ეს უკვე მეორე ღონისძიებაა, რომელიც იმართება ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მხარდაჭერით. პროექტი ინიცირებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰაზარაშენის“ (ერევანი, სომხეთი) მიერ, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცივილიზაციათა და კულტურის კვლევების ცენტრთან, თსუ-სა და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციასთან თანამშრომლობით. პროექტის მიზანი სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში ქართულ-სომხური თანამშრომლობის გაღრმავების ერთობლივი კვლევებისა და ხელმძღვანელობის ორგანიზებით ხელშეწყობაა.

პროექტის ფარგლებში, 24 თბილისელი და ერევნელი სტუდენტი მუშაობდა მცირემასშტაბიან კვლევით პროექტებზე, რომელთა შედეგებიც გამოქვეყნდება და ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ რეჟიმში. მრგვალი მაგიდის მსვლელობისას პროექტის ხელმძღვანელებმა ქეთევან ხუციშვილმა (თსუ) და დავიდ ჰოვანისიანმა (ესუ) პროექტის მნიშვნელობასა და მიღწეულ შედეგებზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა ქართულ-სომხური ერთობლივი პროექტების მნიშვნელობას სამეცნიერო სივრცისა და საზოგადოებისთვისაც. თბილისისა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმა დამსწრეებს გააცნეს საკუთარი ხედვები სომხურ-ქართული თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს კოორდინატორი მალხაზ სალდაძე. ერაზმუს პლიუსის საქართველოს ეროვნული ოფისის კორდინატორმა ლიკა ღლონტმა მონწილეებს გააცნო ინფორმაცია პროექტების მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებმა იმსჯელეს პროექტის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებაზე და წარმოადგინეს რეკომენდაციები სტრატეგიების შემდგომი დახვეწის შესახებ.

თსუ სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენება თბილისში სურბ სარგისის დღის აღნიშვნის თაობაზე, რომელშიც დღესასწაული თბილისური მრავალკულტურული და ტოლერანტული გარემოს თვალსაჩინო მაგალითად იყო გაანალიზებული. შეხვედრის დასასრულს სტუმრები გაეცნენ მცირე ფოტოგამოფენას, პროექტის ქართველ მონაწილეთა ერევანში მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ.

სიახლეები

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების წარმატება

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ოჯახში ძალადობის თემაზე იმიგირებული სასამართლო პროცესის სტუდენტთა ტურნირის ფინალი გაიმართა.

ფინალში გამარჯვება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდებმა მოიპოვეს. საუკეთესო დაცვის მხარე წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდმა, ხოლო საუკეთესო ბრალდების მხარე – თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდმა.

ნომინაციაში საუკეთესო მომხსენებელი ჯულიანა ცხადაშვილმა (თსუ) და მამუკა მახარაძემ (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) გაიმარჯვეს; საუკეთესო მონაწილეებად ბექა მეგრელიშვილი (თსუ) და სოფო გუმბერიძე (თავისუფალი უნივერისტეტი) დასახელდნენ.

ჰანს ტიმმერის საჯარო ლექცია "ვაჭრობა გარდამავალ პერიოდში ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო ბანკის წამყვანმა ეკონომისტმა ჰანს ტიმმერმა საჯარო ლექცია "ვაჭრობა გარდამავალ პერიოდში ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში" წაიკითხა.

ღონისძიებას თსუ რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, პროფესორები, სტუდენტები, დაინტერესებული მსმენელები დაესწრნენ.ჰანს ტიმმერი 2013 წლიდან მსოფლიო ბანკის რეგიონის ევროპისა და ცენტრალური აზიის მთავარი ეკონომისტია. იგი იყო მსოფლიო ბანკის განვითარების პერსპექტივების ჯგუფის დირექტორი.

მისი ხელმძღვანელობით, ჯგუფმა წარმოადგინა მსოფლიო ბანკის წლიური ფლაგმანი ანგარიშები, გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები და გლობალური მონიტორინგის ანგარიში, მონიტორინგისა და პროგნოზირების პუბლიკაციების ფართო სპექტრი, გლობალური განვითარების ფინანსების ჩათვლით.

სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის „ხმა ქართველი ქალისა“ - ასი წლის შემდეგ, პირველი ნომრის პრეზენტაცია

10 მაისს სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის „ხმა ქართველი ქალისა“-ასი წლის შემდეგ, პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. თსუ გენდერის კვლევების ინსტიტუტის მიერ შექმნილი სამეცნიერო-პუბლიცისტური ჟურნალი დაარსდა იმავე სახელწოდების ფემინისტური გაზეთის ასი წლისთავთან დაკავშირებით. გაზეთი "ხმა ქართველი ქალისა" ქუთაისში გამოიცემოდა 1917-1918 წლებში ფემინისტის,

საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის კაგო მიქელაძის თაოსნობით. ღონისძიების მხარდამჭერები არიან:თსუ-ს გენდერის კვლევების ინსტიტუტი, ქალთა ფონდი საქართველოში და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩის ვიზიტი თსუ-ში

4 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ღურსუნ ჰასანოვს შეხვდა.

შეხვედრას თსუ რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, აზერბაიჯანის საელჩოს მეორე მდივანი ფახრი ჰაჯიევი დაესწრნენ. ღონისძიებაზე მხარეებმა საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებულ საგანმანათლებლო საკითხებზე და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრეს.

თსუ ფორუმი „საქართველოს საჯარო მმართველობის გამოწვევები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში“

თსუ-ში ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის რიგით მე-12 ფორუმი „საქართველოს საჯარო მმართველობის გამოწვევები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში“ გაიმართა.

ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, იუირიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი ბიგფრიდ მაგიერა, ევროინტეგრაციის სამინისტროს სექტორალური სამმართველოს უფროსი თორნიკე სულაბერიძე, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი კობა ყალიჩავა, საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებათა წარმომადგენლები, საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

ვახტანგ კოტეტიშვილის „წერილების“ წარდგინება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ვახტანგ კოტეტიშვილის „წერილების“ წარდგინება.

გამოცემაზე ისაუბრეს რეცენზენტებმა:თამარ შარაბიძე (ფილოლოგი, ასოცირებული პროფესორი), ნინო პოპიაშვილი (ფილოლოგიის დოქტორი), ნაირა ბეპიევი (ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი). კრებული ვახტანგ კოტეტიშვილის წერილების პირველ პუბლიკაციებსა და რეპუბლიკაციებს წარმოადგენს, რომელიც მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლების პრესამ და ვახტანგ კოტეტიშვილის პირადმა არქივმა შემოგვინახა. წერილები როგორც კონკრეტული პიროვნების, ასევე იმ რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქის უტყუარი სურათია. კრებული შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ნონა კუპრეიშვილმა. რედაქტორები: ამირან არაბული, ნანა კოტეტიშვილი, თამარ ლონდარიძე. წიგნი გამოიცა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

კონფერენცია „სტუდენტები-მოსწავლეებისათვის“

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებისა და თინათინ წერეთლის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით კონფერენცია „სტუდენტები- მოსწავლეებისათვის“ გაიმართა.

კონფერენციის ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს თემები, რომლებშიც განხილული იყო სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები. კონფერენციის შემდეგ, სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე გამოავლინა საუკეთესო ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნდება ჟურნალის – „სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემების“ პირველ ნომერში.

გამარჯვებული სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან თბილისის საკრებულოში.

საერთაშორისო ინოვაციური კომისიის წევრთა სტუმრობა ფაბლაბში

თსუ ფაბ ლაბს ფრანკოფონ მერთა და ქალაქთა საერთაშორისო ასოციაციის ინოვაციური კომისიის წევრები ესტუმრნენ. კომისიის წევრები ლაბორატორიის საქმიანობას და განხორციელებულ პროექტებს გაეცნენ. საკუთარ ქალაქებში განხორციელებული ინოვაციური პროექტები ქალაქ ნანტის, პარიზის, ჟენევის, ლიეჟისა და აბიჯანის წარმომადგენლებმაც წარადგინეს.

თსუ პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა „ვისწავლოთ ქართულის“ ფარგლებში ქალაქ თბილისი საკრებულოში სერგიფიკატების საზეიმო გადაცემა

გაგრძელება მე-4 გვ.

სიახლეები

მესამე გვერდიდან

გაიმართა.პირველად 2017 წლის კურსის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში მეცადინეობები ჩატარდა ქალაქ თბილისის საკრებულოსთან არსებულ „მეგობრობის სახლშიც“. მეცადინეობებს ესწრებოდნენ თბილისში მცხოვრები რუსული, უკრაინული, პოლონური და ლიგვური დიასპორის წარმომადგენლები. უმეტესობამ გადალახა ტესტური დავალების მაღალი ზღვარი და დაიმსახურა კურსის პირველი საფეხურის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თსუ-ში

17 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, დიდი მეცნიერის, აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამოზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქციის მიერ მომზადებული კრებულის „აკაკი შანიძე-ქართული საქმის კაცი” პრეზენტაცია გაიმართა.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქტორი ნინო კაკულია; რეცენზენტი-რედაქტორია ავთანდილ არაბული. კრებულის წარდგენის შემდეგ გაიმართა ფილმის „აკაკი შანიძე” ჩვენება. ფილმი მომზადებულია პროექტის „მათ შექმნეს უნივერსიტეტი” ფარგლებში (სამხატვრო ხელმძღვანელია მერაბ კოკოჩაშვილი).

ჰიპერტენზიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰიპერტენზიის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, თსუ მედიცინის ფაკულტეტმა, საქართველოს ექიმთა ასოციაციასთან და საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელ საზოგადოებასთან ერთად თსუ პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის მიმოხილვითი პრეზენტაცია გამართა.

აქციის ფარგლებში, ასევე, ჩატარდა გამოკვლევა და შესაბამისი კონსულტირება. ღონისძიებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და რეზიდენტებმა.

ამერიკისმცოდნეობის მე-18 საერთაშორისო კონფერენცია თსუ-ში

თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის მე-18 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შექმნის 230-ე და ქართულ-ამერიკული ურთიერთობების 25 წლისთავს მიეძღვნა.

ღონისძიების ფარგლებში თსუ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიიდან“, რომელზეც წარმოდგენილია ამერიკაში მცხოვრები ქართველების, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის (სამხედრო, საავიაციო, სამეცნიერო, ლიტერატურული, სახელოვნებო, სპორტული და სხვა) ამსახველი ფოტოდოკუმენტები, ბეჭდური და ხელნაწერი მასალები.

„სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“ – პირველი ნომრის პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული გამოცემის „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“ პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და საშუალება მისცეს მათ, საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

პროექტის “საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისთვის მომზადება” პრეზენტაცია

თსუ-ში პროექტის “საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება” პრეზენტაცია და პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. პროექტს ახორციელებს “სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი” თსუ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან პარტნიორობის ფარგლებში, ევროს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

საჯარო ლექცია„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და თანამედროვე გამოწვევები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის კონტექსტში“

თსუ იურიდიულმა ფაკულტეტმა საჯარო ლექციას „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და თანამედროვე გამოწვევები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის კონტექსტში“ უმასპინძლა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე, საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

ლექციის ფარგლებში განხილული იყო:სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არსი და განსხვავება სხვა საერთაშორისო სასამართლოებისგან; პროკურორის ოფისის მიერ გამოძიების წარმართვის პრინციპები; 2008 წლის ომის საქმეზე მიმდინარე გამოძიების სავარაუდო ვადები და შედეგები. ლექცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით გაიმართა.

UNIკალრი 2017

პირველი გვერდიდან

დეპარტამენტში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლის. მესამე გამარჯვებული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ლექსო მიქაძე უნივერსიტეტის მაღაზიათა ქსელის „Scripta Manent“-ის სასაჩუქრე ნაკრებით დასაჩუქრდა.

„ჩემთვის დიდი პატივია ამ კონკურსში გამარჯვება, ფოტოგრაფიით დიდი ხანია დაინტერესებული ვარ და კონკურსშიც ვცადე ბედი, გამარჯვება მოულოდნელი იყო, გამოფენაზე ბევრი კარგი ფოტო ვიხილე. ვფიქრობ მომავალშიც გადავიღო საინტერესო კადრები“, – განაცხადა კონკურსის გამარჯვებულმა ნუცა ნიკოლაიშვილმა.

სტუდენტური ფოტოკონკურსი ტრადიციულია და ყოველ წელს იმართება. წელს კონკურსი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა რამდენიმე ათეულმა სტუდენტმა მიიღო. მონაწილეებმა უნივერსიტეტის გარე ფასადის, შენობის, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო პროცესის ამსახველი კადრები გადაიღეს. კონკურსზე შემოსული ფოტოებიდან ჟიურიმ საუკეთესო 17 შეარჩია, რომელიც უნივერსიტეტში გამოიფინა.

„მსგავსი კონკურსი ძალიან დიდ სტიმულს აძლევს ადამიანს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა არ იფიქროს მარტო ერთი – სწავლის მიმართულებით, არამედ იფიქროს ზოგადად და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები სხვადასხვა კუთხით. ფოტოგრაფია არ არის პროცესი, როდესაც ხედავ და მარტო აჭერ თითს გადასაღებად, ფოტოგრაფია არის აზროვნების პროცესი, ამიტომაც ყველას ვისაც აინტერესებს მსგავსი კონკურსი, იმას უყვარს ფიქრი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა ჟიურის წევრმა გურამ წიბახაშვილმა

„ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა
გამოფენა თსუ-ში

„ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერები, გამოცემები, ილუსტრაციები იყო წარმოდგენილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენაზე „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა“, რომელსაც თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი გაგა აბაშიძე დაესწრნენ.

ექსპოზიციაზე, რომელიც შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა, თსუ ბიბლიოთეკაში, თსუ ემიგრაციის მუზეუმსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული უნიკალური მასალა გამოიფინა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თსუ ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული „ვეფხისტყაოსნის'' ყველა საეტაპო მნიშვნელობის მქონე უნიკალური გამოცემა. მათ შორის, პირველი, 1712 წლის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი''. ასევე 1888 წლის „ქართველიშვილისეული'' გამოცემა, რომელიც გაფორმებულია ცნობილი უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. დამთვალიერებელმა ასევე იხილა მსოფლიოს ხალხთა ენებზე თარგმნილი (ფრანგული, გერმანული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული, უკრაინული, მოლდოვური, სპარსული, არაბული, ჩეჩნური, ლატვიური, ოსური და ა.შ) და ბოლოდროინდელი გამოცემები. მათ შორის აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ კორეული თარგმანი, რომელიც პირველად 2016 წელს ითარგმნა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას კორეის ელჩმა გადასცა საჩუქრად.

თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, დამთვალიერებელს გამოფენაზე შეუძლია იხილოს უნიკალური გამოცემები – 1700 წლიდან დაწყებული, დამთავრებული თანამედროვე გამოცემებით. „ვეხისტყაოსანი“ უკვე ბევრ ენაზე გამოიცა და ეს პროცესი გრძელდება. შარშან ითარგმნა კორეულ ენაზე და ეს გამოცემაც დღევანდელ ექსპოზიციაზეა წარმოდგენილი. გამოფენა ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ძალიან საინტერესო დასაწყისია და იმედი მაქვს, ბევრი სტუმარი გვეყოლება“, – აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

„რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლისთავი, არის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენი ერის ისტორიაში. ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურა, ჩვენი ფასეულობების სისტემის საფუძველია და შეიძლება ვთქვათ, რომ მსოფლიო რანგის ნაწარმოებია. ამიტომ, მის აღნიშვნას ლოკალურის გარდა, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს“,-განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ჯეჯელავამ. მისი თქმით, მომავალ წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმრობის ერთ-ერთი საფუძველი იქნება რუსთაველი და მისი უკვდავი პოემა. „წელს გვაქვს ძალიან ბევრი ღონისძიება დაგეგმილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ კარგი ევროპელები და კარგი ქართველები ვიქნებით მაშინ, თუ ჩვენი ფესვები და ის ფასეულობები, რაზეც აშენდა ქართული სახელმწიფო, გვემახსოვრება და ასეთი ღონისძიებები კარგია იმისთვის, რომ გავამყაროთ ეს ჩვენი კავშირი“ – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ შესრულებული ილუსტრაციების ორიგინალები, ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შექმნამდე გადაღებული ე.წ. „ცოცხალი სურათების“ ორიგინალები („ვეფხისტყაოსნის“ დადგმითი სცენები), რომელბიც მხატვარმა გადაიღო თბილისსა და ქუთაისში და ეს ფოტოები გამოიყენა ილუსტრაციების შესაქმნელად. ფოტოებზე ასახულნი არიან XIX საუკუნის 80-იანი წლების გამორჩეული ქართველი სახეები: გიორგი შარვაშიძე, ბაბო დადიანი და სხვა; „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერების ზუსტი ასლები. მათ შორის გამოიფინა იმერეთის მეფის, სოლომონ II-ისეული ე. წ. „წერეთლისეული“ ხელნაწერი, ქართლის მეფის, გიორგი XI-ის მიერ დაკვეთილი ე.წ. „ბეგთაბეგისეული“ ნუსხა, ლევან II დადიანის დაკვეთით მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი უნიკალური ხელნაწერი და სხვ. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების გვერდით წარმოდგენილი იყო თამარ მეფის პირადი დაკვეთით რომანას ქართულ მონასტერში (კონსტანტინოპოლი) გადაწერილი ხელნაწერი – „ვანის სახარება“, რომელიც თამარის კუთვნილება იყო.

„დღეს პრაქტიკულად იწყება ოფიციალური ნაწილი რუსთაველის წლისა. სად, თუ არა უნივერსიტეტში უნდა გამოგვეფინა ის ხელნაწერები, ის უზარმაზარი სიმდიდრე, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ უნივერსიტეტის შენობაში იყო განთავსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რომელშიც თავის დროზე თავი მოიყარა ყველა ამ ხელნაწერმა“, – აღნიშნა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა გაგა აბაშიძემ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge